ქართული, როგორც მეორე ენა

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

გაითვალისწინეთ, რომ გამოცდა ხუთი ნაწილისაგან (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, პროფესიული ცოდნა) შედგება და წარმატების მისაღწევად საჭიროა ბარიერის გადალახვა ხუთივე ნაწილში.

ასევე აუცილებელია ბარიერის გადალახვა მთლიან ტესტშიც.

პასუხების ფურცელზე ამა თუ იმ დავალების გადატანის წესი თან ახლავს ყოველ დავალებას.

გამოცდის მაქსიმალური ქულაა 85, ხოლო ამ ტესტში მოცემული დავალებებისა – 74.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი და 30 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

I. მოსმენა (9 ქულა)

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი. ტექსტს მოისმენთ ორჯერ.
ყოველი კითხვის ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი.
ტექსტის ჩანაწერის მოსმენამდე დავალების გასაცნობად გეძლევათ 45 წამი.
პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) **1. ქალბატონი რუსუდანის აზრით, რა მისია აკისრია თანამედროვე სკოლას?**

ა) მან მომავალ თაობას ცოდნასთან ერთად სულიერი ფასეულობებიც უნდა გადასცეს.
ბ) მან მომავალ თაობას მიღებული ცოდნის ცხოვრებასთან მისადაგება უნდა ასწავლოს.
გ) მისთვის პრიორიტეტული მომავალი თაობის სოციალური უნარების განვითარება უნდა იყოს.
დ) მისთვის პრიორიტეტული მომავალი თაობისათვის საფუძვლიანი ცოდნის გადაცემა უნდა იყოს.

(1) **2. მასწავლებელი მოწოდებით პედაგოგია მაშინ, როცა:**

ა) გულწრფელად გამოხატავს საკუთარ ემოციებს.
ბ) ნებისმიერ უცნაურ კითხვაზე სცემს პასუხს.
გ) სწავლა-აღზრდის საქმეს მთელი არსებით ემსახურება.
დ) ყველა სიტუაციიდან პოულობს გამოსავალს.

(1) **3. ქალბატონი რუსუდანი ბავშვს საოცარ არსებად მოიხსენიებს, ვინაიდან იგი:**

ა) მასწავლებლისაგან შელამაზებული სიმართლის მოსმენასა და ქებას ელოდება.
ბ) მასწავლებლის გულისხმიერებას გრძნობს და მადლიერებას ქცევით გამოხატავს.
გ) სიმართლეს ინტუიციით ხვდება და ცდილობს ნაკლებად მკაცრი იყოს შეფასებისას.
დ) სიყალბეს ზუსტად გრძნობს და ცდილობს ფაქტებით გადაამოწმოს იგი.

(1) **4. თავისუფალი მოქალაქის აღსაზრდელად პედაგოგმა მოსწავლეს:**

ა) თავისი საგნის მიმართ ინტერესი და სიყვარული უნდა აღუძრას.

ბ) ინტერნეტით სარგებლობის უნარ-ჩვევები უნდა გამოუმუშაოს.

გ) პრობლემის დანახვასა და მის გადაჭრაში დახმარება უნდა გაუწიოს.

დ) ცოდნა საინტერესო ფაქტების მიწოდებით უნდა გაუღრმაოს.

(1) **5. ქალბატონი რუსუდანისთვის შედარებით ადვილია სრულფასოვანი ადამიანის აღზრდა, რადგან, როგორც ლიტერატურის მასწავლებელი:**

ა) მოსწავლეებს აჩვევს ფიქრს და ეხმარება საკუთარი თავის შეცნობაში.

ბ) მოსწავლეებს ეხმარება ფაქტების მოძიებასა და წარმოსახვის უნარის განვითარებაში.

გ) საგნის მიმართ მოსწავლეების ინტერესს სხვადასხვა აქტივობით აღძრავს.

დ) სწავლების სხვადასხვა ეტაპზე მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში ეხმარება.

(1) **6. ქალბატონი რუსუდანი სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებსა და დავალებებს იყენებს იმისათვის, რათა მოსწავლეს:**

ა) თავისი ნიჭის აღმოჩენაში დაეხმაროს.

ბ) მაღალი ნიშნის მიღების სურვილი გაუჩინოს.

გ) მუყაითი შრომის აუცილებლობა დაანახვოს.

დ) სამუშაოს სწრაფად შესრულება გაუადვილოს.

(1) **7. მასწავლებელმა უნდა დაარწმუნოს მოსწავლე, რომ ნიჭი:**

ა) მოცემულობაა, რომლის განვითარება თავდაუზოგავი შრომის გარეშე შეუძლებელია.

ბ) მოცემულობაა, რომლის განვითარება მდიდარი წარმოსახვის გარეშე შეუძლებელია.

გ) საჩუქარია, რომელიც თავგადასავლების ძიებისთვის უნდა გამოიყენოს.

დ) საჩუქარია, რომელიც მოყვასის კეთილდღეობას უნდა მოახმაროს.

(1) **8. ქალბატონი რუსუდანის აზრით, განათლების სისტემა იდეალურია მაშინ, როცა:**

ა) მოსწავლე ყველა კითხვაზე ისმენს პედაგოგის ამომწურავ პასუხს.

ბ) მოსწავლისათვის მაღალი ნიშნის მიღება არის მთავარი მოტივაცია.

გ) ნიშნის მიღებაზე მეტად მოსწავლეს ახლის შემეცნება ანიჭებს სიამოვნებას.

დ) პედაგოგი მოსწავლეს ყოველდღე ბევრ საინტერესო ინფორმაციას აწვდის.

(1) **9. რომელი ციტატითაა გადმოცემული რესპონდენტის *<u>მთავარი</u>* სათქმელი?**

ა) „არაფერია იმაზე უკეთესი, როცა არსებობს პროცესი შემეცნებისა, [...] და რა ბედნიერებაა, როდესაც ამ პროცესის მონაწილე ხარ“.

ბ) „მას [მასწავლებლობას], როგორც ყველა დიდ საქმეს, სპეციალისტისგან მოთმინება, თავშეკავება და საკუთარი ემოციების მართვა სჭირდება“.

ბ) „სიყალბე არის ყველაზე ცუდი გაკვეთილი, რომელიც შეიძლება ჩაუტარო მოსწავლეებს, და ცუდი მაგალითი, რომელიც შეიძლება მისცე მათ“.

დ) „სულ უნდა გახსოვდეს, რომ თითოეული ბავშვი არის პიროვნება და ყოველი მათგანი ითხოვს ყურადღებას“.

II. კითხვა (25 ქულა)

(9) ყურადღებით წაიკითხეთ ნუგზარ შატაიძის მოთხრობა „წერილი ძმას“.

არ ვიცი, როგორ უნდა გადმოვცე ფშავისა და, განსაკუთრებით, ხევსურეთის მშვენიერება. ამაში რომ დარწმუნდე, ერთხელ მაინც უნდა ახვიდე „დათვის ჯვრის“ უღელტეხილზე და პირიქითა ხევსურეთს იქიდან გადახედო. ეს არის მკაცრი და შემაშინებელი სილამაზე, რომელიც სრულიად განსხვავდება ნაზი და თბილი იმერული პეიზაჟისაგან. იმან, რაც ამ პირველყოფილ ბუნებაში ვიხილე, ჩემს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ფეხით გავიარე ას ვერსზე მეტი, მრავალჯერ დავსველდი მთის ჩქარ და ყინულივით ცივ მდინარეში, ზოგჯერ მშიოდა და მწყუროდა კიდეც ამ გაგანია შუა ზაფხულში, განსაკუთრებით, ღამით.

მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც შემდეგ გადამხდა.

ერთხელ, როდესაც უკვე ღამდებოდა, სოფელი კი არსად ჩანდა, დავინახე ვიღაც კაცი, რომელიც ბალახს თიბავდა და ვთხოვე ჩემთვის ღამე გაეთენებინა, რაზედაც იგი სიამოვნებით დამთანხმდა. თიბვა მიატოვა და წინ გამიძღვა. ავიარეთ ფერდობი, ავედით ერთ მოშიშვლებულ მთაზე და დავინახე მიწური სახლი, რომლის წინაც, მოტიტვლებულ ეზოში, ხუთი თუ ექვსი ბავშვი თამაშობდა.

შევედით მიწურში, სადაც დაგვხვდა მასპინძლის ცოლი – ნაადრევად დაბერებული, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ ლამაზი ქალი. დიასახლისმა დაგვსხა ტახტზე, დაგვიდგა პატარა ტაბლა და შეუდგა ვახშმის სამზადისს.

ინტერესით ვათვალიერებდი ოთახს: გაშავებულ პატარა ბუხარს, მის თავზე შემოდებულ გამურულ ფანდურს, წყლის რამდენიმე თუნგს და ხის დერგებს... მაგრამ ეს ყველაფერი დამავიწყა ერთმა საკვირველმა თექამ, რომელიც მოპირდაპირე კედელზე იყო გაკრული.

ყოველი ნაწარმოების სიკარგე დამოკიდებულია იმაზე, იძლევა თუ არა იგი მაყურებელზე სივრცის განცდის შთაბეჭდილებას. ეს არის ერთი მთავარი მახასიათებელი ხელოვნებისა, რაც იტალიურმა რენესანსმა აღმოაჩინა და იქიდან მოყოლებული გამოიყენება. მაგრამ ხევსურულ მიწურში ნანახმა თექამ დამარწმუნა, რომ სივრცის გადმოცემა სულ სხვანაირად – მარტო ფერებითაც – ყოფილა შესაძლებელი.

ეს იყო ფანტასტიკური აღმოჩენა!

კითხვებზე გადასვლა: 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17; 18.

ამ აღმოჩენამ იმდენად შემძრა, რომ დამავიწყდა, სად ვიყავი და ვინ ვიყავი. გონს რომ მოვეგე, უკვე ფეხზე ვიდექი და ჩემი გაოცებული მასპინძლების წინ თექას ხელით ვსინჯავდი. ის არ ჰგავდა ჩვეულებრივ ნამუშევრებს არც ფერით, არც კომპოზიციითა და არც სიუჟეტით, მაგრამ მასში მე ვგრძნობდი საქართველოს მიწა-წყალს, ზეცას, ჰაერსა და მის გამაოგნებელ კოლორიტს.

უნდა გამოვტყდე, რომ ჩვენი წარსული ხელოვნების ფორმები ჯერ კიდევ შეუსწავლელია: ვერსად ნახავ დამაჯერებელ აზრს მათი ესთეტიკური ღირებულების შესახებ. ჩვენში ყველანაირი ძველი ერთნაირად მნიშვნელოვანი ჰგონიათ და ხელოვნების ნიმუშის დაფასება ზოგჯერ მარტო იმით განისაზღვრება, რომ ის ძველია.

ეს ფარდაგიც ძველი იყო, მაგრამ მთელი ჩემი პარიზში ყოფნის დროს ასეთი ახალი და ორიგინალური არაფერი მენახა. თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ მისი ადგილი აქ არ იყო. ეს თექა ლუვრის საუკეთესო დარბაზში უნდა გამოეფინათ, რათა მისი ხილვით დატკბობის საშუალება მილიონობით ადამიანს მისცემოდა.

ამ ფიქრებიდან მასპინძლის ხმამ გამომიყვანა, რომელიც სუფრასთან მეპატიჟებოდა. პატარა ყანწი მომაწოდა – დავლოცე მისი ოჯახი და საქონელი, შემდეგ კი ფრთხილად შევაპარე, რომ თექა ძალიან მომეწონა და რასაც დამიფასებდა, უყოყმანოდ გადავუხდიდი. მან თავი გადააქნია და მთხოვა, რომ ამ საკითხზე აღარ გვესაუბრა...

ამასობაში დაღამდა კიდეც. არ ვიცი, სასმელის ბრალი იყო თუ კედელში ჩამაგრებული ჭრაქის მოლიცლიცე შუქისა – თექამ სულ სხვა, იდუმალი ელფერი მიიღო და ჩემს თვალწინ სრულიად ახალი ღირსებით წარმოსდგა. თითქმის მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს... გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ეს შედევრი ხელში ჩამეგდო, რისთვისაც, მთელი ღამე საკმაოდ ეშმაკური გეგმა მოვიფიქრე.

მეორე დილით ადრე ავდექით, მე ისევ თექაზე ჩამოვაგდე ლაპარაკი. მასპინძელმა მითხრა, რომ ის მისი დიდი ბებიის, გულქან არაბულის ნახელავი იყო. ჩემი მხრივ, მე ვუამბე საკუთარი თავგადასავალი – ვუთხარი, რომ მხატვარი ვიყავი და საფრანგეთში ცხრა წელი ვსწავლობდი. ველაპარაკებოდი, რა თქმა უნდა, მისთვის სრულიად გაუგებარ თემაზე, მხატვრობაში არსებულ მიმდინარეობებზე. აქვე ისიც არ დავუმადლე, რომ ეს თექა ძირეულად განსხვავდება და წარმოადგენს სრულიად ახალ, ჯერ კიდევ უცნობ მიმდინარეობას, რომელმაც შეიძლება რევოლუციური გარდატეხა შეიტანოს თანამედროვე ევროპის ხელოვნებაში. დასკვნის სახით ვუთხარი, რომ ჩვენი ვალია, ეს ნამუშევარი გავაცნოთ ევროპელ მხატვრებს, რაც ორმხრივ

კითხვებზე გადასვლა: 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17; 18.

სასარგებლო იქნება – ჯერ ერთი, ისინი სხვა თვალით შეხედავენ არა მარტო საკუთარ შემოქმედებას, არამედ თვალნათლივ დაინახავენ მხატვრობის განვითარების მომავალს. მეორეც, ჩვენი პატარა ქვეყნისათვის საამაყო იქნება ის, რომ ამ მომავალს სათავეს ქართველი შემოქმედი ანუ მისი დიდი ბებია დაუდებს.

ჩემი საწყალი მასპინძელი მთელი ყურადღებით მისმენდა, მაგრამ ვერაფერი გაიგო, ამიტომ არც ვაციე, არც ვაცხელე და პირდაპირ ვუთხარი, თექა უნდა მომყიდო-მეთქი.

– არაო, – მიპასუხა, – გუშინაც ხომ გითხარი, რომ ვერ გავყიდიო.

– მაშინ, მაჩუქე-მეთქი!

ეს მზაკვრული ხერხი წინასწარ მოვიფიქრე და ჩემი გეგმის კულმინაციად მიმაჩნდა, რადგან ვიცოდი, რომ მთიელი კაცი სტუმარს ასეთ თხოვნაზე უარს ვერაფრის დიდებით ვერ ეტყოდა. მართლაც, ჩემს სიტყვებზე ძალიან მოიწყინა, სახე ხელისგულებში ჩამალა და დიდხანს, ძალიან დიდხანს იჯდა ეგრე. ვხვდებოდი, რომ მის არსებაში ორი გრძნობა ებრძოდა ერთმანეთს: ვერც თექას ელეოდა და არც სტუმრის წყენინება უნდოდა. ამის გამო სინდისის ქენჯნამ შემაწუხა, მაგრამ ოღონდაც ის დაუძლეველი სურვილი ამესრულებინა და იმ წუთში ყველაფრისთვის მზად ვიყავი.

ბოლოს თავი აიღო და შემომხედა. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. მერე არაყი დაისხა, დალია და მითხრა: „მე ადრე დავობლდი, ბებია მზრდიდა, მაგრამ თორმეტისა რომ შევსრულდი, ისიც მომიკვდა. დავრჩი მარტო. საქონელს ვუვლიდი, თივას ვამზადებდი, ტყიდან შეშას ვეზიდებოდი. კარგად რომ მოვიზარდე, ჩემსავით ობოლი ღარიბი ქალი შევირთე და ოჯახი შევქმენი. ექვსი ბალღი გვეყოლა. მამლის ყივილზე ვდგები: ვწვალობ, ვშრომობ, წელებზე ფეხს ვიდგამ, რომ ჯალაბი როგორმე გამოვკვებო, მაგრამ მაინც მშივრები ვართ. ზოგჯერ ისე შემჯავრდება ყველაფერი, მოვალ დაღლილ-დაქანცული და ტახტზე მივეგდები – არ ვიცი, თოფი დავიცე თუ ხანჯალზე დავეგო, მაგრამ ამ თექას რომ შევხედავ, გულში ნათელი მიდგება, ყველაფერი მავიწყდება, ისევ კაცი მგონია ჩემი თავი – ეხლა, როგორც შენ იტყვი, თუ ეგრე გულით გინდა, ადექი, ჩამოხსენი და წაიღე.

გაოგნებული ვიჯექი, მერე ავდექი, გადავეხვიე, ორთავ მხარზე ვაკოცე, დავემშვიდობე და წამოვედი. სრულიად არ ვნანობ, რომ ის თექა არ წამოვიღე. ალბათ, ისევ იმ გამურულ კედელზე ჰკიდია და მის პატრონს, ერთ უბრალო ხევსურს, ცხოვრების ამაოებისგან აწეწილ სულს უმშვიდებს.

ხელოვნების უმთავრესი დანიშნულებაც ხომ ეს არის.

კითხვებზე გადასვლა: 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17; 18.

უპასუხეთ მოცემულ კითხვებს. პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება.
ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ **მხოლოდ ერთი**.
პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

(1) 10. მოთხრობის პირველ აბზაცში ავტორი:

ა) მკითხველს სევდიანი და პესიმისტური ამბის მოსასმენად განაწყობს.

ბ) მკითხველს ფშავისა და ხევსურეთის შედარების საშუალებას აძლევს.

გ) საუბრობს „პირველყოფილი ბუნების“ ფეხით მოვლის აუცილებლობაზე.

დ) საუბრობს ხევსურეთის ბუნების ნახვით მიღებულ შთაბეჭდილებებზე.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 11. რომელ ციტატაშია გამოყენებული შედარება?

ა) „დაგვხვდა მასპინძლის ცოლი – ნაადრევად დაბერებული, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ ლამაზი ქალი“.

ბ) „ეს არის მკაცრი და შემაშინებელი სილამაზე, რომელიც სრულიად განსხვავდება ნაზი და თბილი იმერული პეიზაჟისაგან.“

გ) „მრავალჯერ დავსველდი მთის ჩქარ და ყინულივით ცივ მდინარეში“.

დ) „შეიძლება რევოლუციური გარდატეხა შეიტანოს თანამედროვე ევროპის ხელოვნებაში“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 12. რამ გააოგნა მთხრობელი თექის პირველად დანახვისას?

ა) იგი თავისი კომპოზიციით სტუმარს პარიზში გატარებულ წლებს აგონებდა.

ბ) იგი იტალიური რენესანსის პერიოდის საუკეთესო ნიმუშებს ფერებით ჰგავდა.

გ) იგი ოსტატურად იმეორებდა ტრადიციული თექისათვის დამახასიათებელ სიუჟეტს.

დ) იგი სივრცის გადმოცემას მხოლოდ ფერების საშუალებით ახერხებდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 13. მთხრობელი გამოთქვამს კრიტიკულ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მის ქვეყანაში:

ა) ხელოვნების ნიმუშის შეფასებისას მთავარ კრიტერიუმად მის სიძველეს მიიჩნევენ.

ბ) ხელოვნების ნიმუშის შეფასებისას მთავარ კრიტერიუმად რენესანსის ეპოქის ნიმუშებთან მის მსგავსებას მიიჩნევენ.

გ) ხელოვნების ძველი ნიმუშების ესთეტიკურ ღირებულებაზე ყველას განსხვავებული აზრი აქვს.

დ) ხელოვნების ძველ ნიმუშებს ერთმანეთს კომპოზიციის თავისებურებით ამსგავსებენ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 14. მთხრობელს ძველი ფარდაგის შეძენის დაუძლეველი სურვილი გაუჩნდა მას შემდეგ, რაც გააცნობიერა, რომ:

ა) ამ გზით გულქან არაბულის სახელს საქვეყნოდ ცნობილს გახდიდა.

ბ) ამ გზით ღარიბ ოჯახს მატერიალურ დახმარებას გაუწევდა.

გ) ამით ევროპელების წინაშე საკუთარ პიროვნებას წარმოაჩენდა.

დ) ამით მისი ნახვის შესაძლებლობას მილიონობით ადამიანს მისცემდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **15. რას გულისხმობს მთხრობელი *„მზაკვრულ ხერხში“*?**

ა) მან თექის ჩუქება სთხოვა მასპინძელს, რადგან იცოდა, მთიელი კაცი სტუმარს უარს ვერაფრით ვერ ეტყოდა.

ბ) მან მასპინძლის ყურადღება თექის ორიგინალურობაზე გაამახვილა, რადგან იცოდა, სხვაგვარად ხევსურს მის გაყიდვაზე ვერ დაითანხმებდა.

გ) მან სცადა დაერწმუნებინა მასპინძელი დაეთმო თექა, რომელიც თანამედროვე ხელოვნების მიმდინარეობებზე ძირეულ გავლენას მოახდენდა.

დ) მან სცადა დაერწმუნებინა მასპინძელი, რომ ევროპაში თექის გატანის შემთხვევაში მთელი ქვეყანა არაბულის გვარით იამაყებდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 16. რატომ უჭირდა ხევსურს თექის დათმობა?

ა) აცნობიერებდა, რომ ის ერთადერთი ნივთი იყო, რომელიც წარსულთან აკავშირებდა და სულს უმშვიდებდა.

ბ) აცნობიერებდა, რომ ის ძვირადღირებული ნივთი იყო და უფრთხილდებოდა.

გ) ხვდებოდა, რომ ის ერთადერთი ნივთი იყო ოჯახში, რომელიც ღარიბულ მიწურს ულამაზებდა.

დ) ხვდებოდა, რომ სტუმარი არასაკმარის თანხას სთავაზობდა მის სანაცვლოდ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **17. ხევსურის მხატვრული სახის შექმნით, ავტორის მთავარი მიზანია:**

ა) მკითხველი დააფიქროს უბრალო ადამიანის როლზე ხელოვნების ნიმუშის დაცვის საქმეში.

ბ) მკითხველს აჩვენოს სახე ღირსეული ადამიანისა, რომლისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვანი სულიერი ფასეულობებია.

გ) მკითხველს გააცნოს მთაში მცხოვრები უბრალო ადამიანის ყოველდღიური მძიმე ყოფა.

დ) მკითხველს მოუთხროს ძლიერ ადამიანზე, რომლისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვანი საკუთარი ოჯახის მოვლა-პატრონობაა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **18. რა არის მწერლის მთავარი სათქმელი?**

ა) მატერიალური სიდუხჭირე ადამიანს ჭეშმარიტი ღირებულებების აღმოჩენაში ეხმარება.

ბ) სულიერი ღირებულებები არანაირი მატერიალური საზომით არ იზომება.

გ) ხელოვნების ნიმუშის სიკარგე არ იზომება იმით, თუ რამდენად ძველია იგი.

დ) ხელოვნების უპირველესი დანიშნულება ის არის, რომ მილიონობით ადამიანს სიამოვნება მიანიჭოს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(7) 19. ტექსტიდან ამოღებულია 7 წინადადება. აღადგინეთ ტექსტი მე-20 გვერდზე მოცემული წინადადებების მეშვეობით. გაითვალისწინეთ, 5 წინადადება ზედმეტია.

ქართულ-გერმანული ურთიერთობის ისტორიიდან

ქართველი და გერმანელი ხალხების ურთიერთობის ისტორია საუკუნეებს ითვლის. არაერთი გერმანელი მოგზაური აღფრთოვანებულა ჩვენი ხალხისა და ბუნების სილამაზით. (1) ----------. საქართველოთი დაინტერესებაზე განსაკუთრებით მიუთითებს შუა საუკუნეების გერმანელი მწერლის, ვოლფრამ ფონ ეშენბახის, სარაინდო რომანები, ასევე კანტის, ლესინგისა და სხვა ავტორთა შემოქმედება.

საცხოვრებლად საქართველოში გერმანელ კოლონისტთა ჯგუფი პირველად 1817 წელს შემოვიდა. (2) ----------. ამ ადგილს მარიენფელდი ეწოდა. გერმანელთა ჩამოსახლება პერიოდულად მთელ XIX საუკუნესა და საბჭოთა პერიოდის პირველ წლებშიც გრძელდებოდა. თბილისის სიახლოვეს განლაგებული გერმანელთა კოლონიები სოფლის მეურნეობის პროდუქტების მთავარი მომწოდებელნი გახდნენ ქალაქის მოსახლეობისათვის. (3) ----------. ჩამოსახლებულ გერმანელთა შორის იყვნენ ხელოსნები, მექუდეები, მესაათეები, მცხობლები, კალატოზები და სხვ. გერმანელმა კოლონისტებმა ლუდის დამზადებას ჩაუყარეს საფუძველი თბილისსა და კავკასიის სხვა ქალაქებში. (4) ----------. 1865 წელს კი გაიხსნა ვეტცელის ქარხანა, სადაც ბავარიულ ლუდს ხარშავდნენ. მას მალევე შეემატა ლუდის ორი ქარხანა. აღსანიშნავია, რომ მათ ასევე ხელი მოჰკიდეს მევენახეობის განვითარებას. ამან ინტენსიური ხასიათი მიიღო განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევარში. გერმანელები კარგად გაეცნენ ვაზის ქართულ ჯიშებს, დაიწყეს მათი მოყვანა და ღვინის ჩამოსხმაც. (5) ----------.

გერმანელები დიდ ყურადღებას აქცევდნენ მომავალი თაობის განათლებას. თბილისის გერმანულ კოლონიებში, რომელთა მოსახლეობის საერთო რაოდენობა 4400 შეადგენდა, კულტურის დონე საკმაოდ მაღალი იყო. სასკოლო ასაკის ბავშვები სრულად იყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესში. (6) ----------. მასწავლებელი აქ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და საპატიო პიროვნებად ითვლებოდა. (7) ----------. გერმანული ენის გარდა აქ ასწავლიდნენ მათემატიკას, გეოგრაფიასა და საღვთო სჯულს. 1899 წელს ილია ჭავჭავაძე ასე ახასიათებდა მათ სწრაფვას განათლებისადმი: „გერმანელი პურს დაიკლებს, ღვინოს დაიკლებს, შიმშილს, წყურვილს არ შეუშინდება და შვილის მცოდნე კაცად ქცევისათვის არაფერს დაზოგავს... გერმანელმა იცის, რომ შვილის კაცად გამოსვლა მის სწავლა-განათლებაზეა დამოკიდებული“.

გერმანელებმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს იმდროინდელი საზოგადოების ცხოვრებაში.

(ინტერნეტრესურსებიდან)

გამოტოვებული წინადადებები:

ა) 1850 წელს თბილისის კოლონიაში პირველი მცირე ზომის ლუდსახარში აშენდა.
ბ) ამ პროდუქტებიდან კარტოფილის მოყვანის კულტურა გერმანელებმა შემოიღეს ჩვენში.
გ) ბევრი ხელოვნისათვის კი საქართველო შთაგონების წყაროდ ქცეულა.
დ) გერმანელთა ყოველ კოლონიას არჩეული ჰყავდა კომისარი, რომელიც მათ უფლებებს იცავდა.
ე) გერმანელი კოლონისტების მიმართ რუსეთის ხელისუფლება განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა.
ვ) ეროვნული საბჭო არჩევითი ორგანო იყო და მოსახლეობის უფლებებს იცავდა.
ზ) ეს იყო 31 ოჯახი, რომლებიც სართიჭალის მახლობლად დაასახლეს.
თ) ისინი ღვინოს უმთავრესად გასაყიდად ამზადებდნენ.
ი) კოტეჯებს შორის საკმაოდ ფართო გზა გადიოდა.
კ) XIX საუკუნის 70-იან წლებამდე სწავლება გერმანულ სკოლებში მხოლოდ გერმანულ ენაზე მიმდინარეობდა.
ლ) მისი შენობა მდებარეობდა დღევანდელი აღმაშენებლის გამზირზე, N108-ში.
მ) სასწავლო დაწესებულება გერმანელთა თითქმის ყველა კოლონიაში იყო.

ამ დავალების პასუხები პასუხების ფურცელზე გადაიტანეთ შემდეგნაირად: მე-19 ნომრის გასწვრივ მოცემულ ცხრილში ყოველი წინადადების რიგით ნომერს შეუსაბამეთ იმ წინადადების აღმნიშვნელი ასო, რომელიც, თქვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაშია გამოტოვებული და გადამკვეთ უჯრედში ჩასვით **X** ნიშანი.

(9) 20. წაიკითხეთ ტექსტი და გაარკვიეთ, ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელი შეესაბამება ტექსტის შინაარსს და რომელი – არა.

თუ წინადადება შეესაბამება ტექსტის შინაარსს, შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა X და მიუთითეთ იმ აბზაცის ნომერი, რომელიც თქვენი პასუხის დამადასტურებელ ინფორმაციას შეიცავს *(ნიმუში მოცემულია).* გაითვალისწინეთ, თუ აბზაცის ნომერი სწორად არ იქნება მითითებული, შესაბამისი პასუხი არასწორად ჩაგეთვლებათ. თუ წინადადება არ შეესაბამება ტექსტის შინაარსს, შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა X, მაგრამ აბზაცის ნომრის მითითება საჭირო არ არის.

არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

კითხვის ხიბლი

1. ჩვენს სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე იდუმალი ფენომენი წიგნის კითხვაა. როდესაც ადამიანი კითხულობს, მისი თვალი მიჰყვება ნაწერს, გონება კი გამალებით მუშაობს, რომ არა მხოლოდ ამოიკითხოს ტექსტი, არამედ გაიაზროს იგი, აღიქვას წაკითხულის არსი და შეაფასოს ფურცელზე გადმოცემული ნააზრევი. არის ტექსტი და არის ქვეტექსტიც, რომლის გააზრებაც კითხვის პროცესში მკითხველს განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებს. ამასთანავე, კითხვა ტექსტის ავტორსა და მკითხველს შორის უხილავ ძაფს აბამს და ერთად ტოვებს ჯადოსნურ სამყაროში. ამ სამყაროში ყველაფერი სხვა უკან იხევს და წინ მოდის სუბიექტი და ობიექტი ანუ ავტორი და მკითხველი.
2. ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორ კითხულობს ვინმე, მაგალითად, „ფაუსტს“, და როგორ იქმნება მის წარმოსახვაში ფაუსტის ოთახი: მაღალი თაღები, სანთლის ციმციმი, წიგნებით სავსე კარადა, სამუშაო მაგიდა... რაც უნდა დეტალურად დაგვიხატოს ავტორმა სურათ-ხატები, ისინი მაინც უნიკალური იქნება ყოველი მკითხველისათვის და სწორედ ეს არის კიდევ ერთი საოცრება, რომელსაც წიგნი გვთავაზობს. ვისაც ეს არ გაუკეთებია, ვისაც წარმოსახვა არ აუმუშავებია, მას ჯერ კიდევ არ შეუცნია კითხვის ხიბლი და ამ პროცესში პასიურ მონაწილედ რჩება. ასეთ ადამიანს დღევანდელი კომპიუტერული, ციფრული სამყარო უკეთეს გასართობებს სთავაზობს (მისი აზრით) და ჰგონია, რომ რაღაც საინტერესოს იღებს. ეს ილუზიაა, რომელიც მას სინამდვილედ წარმოუდგება.

წინადადებებზე გადასვლა

3. თუ მხოლოდ ამბების წაკითხვაა მთავარი, აქვე უნდა გაჩნდეს კითხვა: მაშინ რატომ ვუბრუნდებით ხელახლა გატაცებით ნაცნობ ნაწარმოებებს, რომელთა შინაარსიც უკვე კარგად ვიცით? იმიტომ, რომ მხატვრულ ლიტერატურას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვისება აქვს – მას შეუძლია გაზიაროს იდეათა სამყაროს, მოგცეს ისეთი რამ, რაც უცვლელი და მარადიულია. მატერიალურ სამყაროს მუდმივი მოძრაობა განსაზღვრავს, მოძრაობას კი დრო სჭირდება. სადაც დრო არსებობს, იქ ცვლილებებიც გარდაუვალია. იდეები კი მარადისობის ნაწილია. ესაა ღირებულებები, რომლებიც ჟამთა ცვლას არ ექვემდებარება. ამას სიბრძნეს ვუწოდებთ და მას კითხვისას ვეზიარებით. რა თქმა უნდა, არის სიბრძნის მიღების მეორე გზაც – ცხოვრებისეული გამოცდილება. მაგრამ რატომ უნდა დაიკარგოს დრო იმაში, რისი მიღებაც უფრო მარტივად და სწრაფადაა შესაძლებელი?! სიბრძნესთან ზიარება გამოცდილების მიღების გზით არასაკმარისია – ხომ არიან ადამიანები, რომლებიც დიდ ცხოვრებისეულ გზას გადიან და სიბრძნეს მაინც ვერ იძენენ?!

4. მაშასადამე, კითხვა გვაზიარებს იმას, რაც უცვლელი და მარადიულია. მარადიულისკენ სწრაფვა კი ადამიანის უმნიშვნელოვანესი თვისებაა. ადამიანს სურს მოათვინიეროს დრო, გაიმარჯვოს მასზე და ამ მისწრაფებას ყველა სხვადასხვაგვარად ახერხებს: ვიღაც დროის მანქანის გამოგონებაზე ოცნებობს, ვიღაც კოსმოსს იკვლევს, ვიღაც რელიგიაში ეძებს კითხვებზე პასუხს, ვიღაც შთამომავლობის დატოვებით ცდილობს გახდეს უკვდავი. მარადიულთან შეხება კითხვის ერთ-ერთი უნიკალური მხარეა. რა თქმა უნდა, დამწყებ მკითხველსაც შეუძლია გადალახოს დროის საზღვარი – ტექსტის კვალდაკვალ იმოგზაუროს წარსულსა თუ მომავალში, მაგრამ ჭეშმარიტი სიბრძნის აღმოსაჩენად კითხვის პროცესში მეტი დაფიქრებაა საჭირო – მაგალითად, რატომ გვეუბნებიან, რომ: „რასაცა გასცემ შენია, რასც არა – დაკარგულია“. ვისაც ამ მარადიულთან თანაზიარობა გამოუცდია, იცის, რასაც ვგულისხმობ. ეს პროცესია, რომლის მოცემაც მხოლოდ წიგნს შეუძლია.

(თაკო რაზმაძე, ინტერნეტრესურსებიდან)

წინადადებებზე გადასვლა

წინადადების N	წინადადებები	შეესაბა-მება	არ შეე-საბამება	აბზაცის N
0	*ადამიანი დროის დამორჩილებასა და მასზე გამარჯვებას ცდილობს.*	*X*		*4*
1	ადამიანი პასიური ვერ იქნება კითხვის პროცესში მიუხედავად იმისა, შეუძლია თუ არა მას წაკითხულის გონებაში გაცოცხლება.			
2	კითხვის დროს მკითხველსა და ავტორს შორის იდუმალი კავშირი მყარდება, სადაც ავტორი სუბიექტია, მკითხველი კი – ობიექტი.			
3	კითხვის პროცესში ადამიანის გონება აქტიურად მუშაობს, რომ აღიქვას წაკითხული ტექსტის არსი და შეაფასოს იგი.			
4	მკითხველი ინტერესით იმიტომ უბრუნდება უკვე წაკითხულ წიგნებს, რომ მალევე ავიწყდება მათი შინაარსი.			
5	მხატვრული ლიტერატურა სიბრძნის აღმოსაჩენად ადამიანს კითხვის პროცესში დამატებით დაფიქრებას ასწავლის.			
6	მხატვრულ ნაწარმოებში ავტორის მიერ შექმნილ სურათ-ხატებს ყველა მკითხველი ერთნაირად აღიქვამს.			
7	როდესაც ადამიანი კითხულობს, ის თავის წარმოსახვაში აცოცხლებს ნაწარმოებში აღწერილ გარემოს, იქ მოთხრობილ ამბებს.			
8	ტექსტის კვალდაკვალ დროში მოგზაურობა სიბრძნის შესაცნობად არასაკმარისია.			
9	ცხოვრებისეული გამოცდილება სიბრძნის მიღების საუკეთესო გზაა.			

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

III. წერა (20 ქულა)

21. **არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ქვემოთ მოცემულ მოსაზრებას ან უარყავით იგი:**
    მასწავლებელთა ნაწილს მიაჩნია, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებიდან საუკეთესო გამოცდაა.

N21 ანუ წერითი დავალების შესასრულებლად პასუხების ფურცელზე ერთი გვერდია დატოვებული. იმყოფინეთ ეს ადგილი!

ისევე, როგორც ყველა სხვა დავალებისათვის, წერითი დავალებისათვისაც შავი ვარიანტის დასაწერად შეგიძლიათ ცარიელი ფურცლები გამოიყენოთ.

არ დაგავიწყდეთ ნაშრომის გადატანა პასუხების ფურცელზე!

გაითვალისწინეთ, <u>100 სიტყვაზე ნაკლები მოცულობის</u> ნაშრომი VI (სინტაქსური კონსტრუქციები) და VII (მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) კრიტერიუმების მიხედვით <u>არ შეფასდება</u> და დაიწერება 0 ქულა.

IV. პროფესიული ცოდნა (20 ქულა)

(8) 22. ტექსტში დაშვებულია ორთოგრაფიული, მორფოლოგიური და სინტაქსური შეცდომები (სტრიქონში არაუმეტეს ერთისა). ზოგ სტრიქონში დაშვებულია შეცდომა, ზოგში – არა. სტრიქონების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე დაწერეთ სწორი ფორმები. თუ სტრიქონში შეცდომა არ არის, გააკეთეთ აღნიშვნა – √*(ნიმუში მოცემულია).*

არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

ტექსტი	სწორი ვარიანტები
ბერიკაობა ქართული ხალხური სანახაობითი წარმოდგენაა, რაც უძველესი დროიდან იღებს	*00. ---- რომელიც ----*
სათავეს. ის თავდაპირველად ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი დღესასწაული იყო. დროთა	*0. ---------- √ ----------*
განმავლობაში ამ სანახაობამ დაჰკარგა საკულტო-რელიგიური დანიშნულება, თუმცა მისი	1. ----------
თეატრალიზებულ ხასიათის გამო დიდხანს შემორჩა ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეს.	2. ----------
ჩვენამდე მოღწეულია ბერიკაობის 100-ზე მეტი სიუჟეტი, რომლის უმეტესობა კომიკურია და	3. ----------
ძირითადად საყოფაცხოვრებო თემებზეა შექმნილი. ცნობილია, რომ საქართველოს სხვადასხვა	4. ----------
რეგიონებში დღესასწაული თავისებურებებით გამოირჩეოდა, მაგრამ, როგორც წესი, ყველგან	5. ----------
წელიწადში მხოლოდ ერთხელ, ადრეულ გაზაფხულზე, იმართებოდა. ბერიკები ჯერ საგანგებოთ	6. ----------
ირგებდნენ ნიღბებს, შემდეგ სოფელში კარდაკარ დაივლიდნენ ოჯახებს, რათა შეეგროვებიათ	7. ----------
რაც შეიძლება მეტი სურსათ-სანოვაგე. საღამოს ყველა ერთად მხიარულად ატარებდნენ დროს.	8. ----------

NN 23-28 დავალებების ***ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ*** *მხოლოდ ერთი.*
პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.
NN 29-31 დავალებების პასუხები უნდა დაწეროთ პასუხების ფურცელზე მხოლოდ ამ დავალებების ნომრების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე.
შავი სამუშაოს შესასრულებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ ცარიელი ფურცლები.
არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

(1) **23.** ჩამოთვლილთაგან რომელი სიტყვაა ნაწარმოები ერთცნებიანი კომპოზიტისაგან?
ა) ავკარგიანობა.
ბ) დედაშვილობა.
გ) დღეგრძელობა.
დ) უფროსუმცროსობა.

(1) **24.** რომელი ხაზგასმული სიტყვაა კრებითი არსებითი სახელი?
ა) კარგი <u>მეზობლობა</u> ერთმანეთის თანადგომას გულისხმობს.
ბ) <u>მსახიობობა</u> ჩემი ბავშვობისდროინდელი დიდი ოცნებაა.
გ) <u>ნათესაობა</u> ყოველ დღესასწაულზე ჩვენს ოჯახში იკრიბება.
დ) <u>პედაგოგობა</u> ერთ-ერთ საპასუხისმგებლო პროფესიად მიიჩნევა.

(1) 25. მოსწავლემ დაწერა წინადადება:

ანზორ ერქომაიშვილის, ცნობილი ფოლკლორისტისა და მუსიკოსის, სახელს უკავშირდება ანსამბლი „რუსთავის“ არა მარტო დაარსება, არამედ მისი უდიდესი წარმატება.

მოცემულ წინადადებაში დარღვეულია:

ა) ადამიანის საკუთარი სახელისა და გვარის ერთად ბრუნების წესი.
ბ) განკერძოებულ სიტყვებთან (დანართთან) სასვენი ნიშნის დასმის წესი.
გ) ერთგვარწევრებიან (შერწყმულ) წინადადებაში სასვენი ნიშნის დასმის წესი.
დ) საზოგადო და საკუთარი არსებითი სახელების ერთად ბრუნების წესი.

(1) 26. ზმნისწინის ერთ-ერთი ფუნქციაა აწარმოოს სხვა მნიშვნელობის ზმნა.

ჩამოთვლილთაგან რომელია ამის საილუსტრაციო მაგალითი?

ა) გავიდა – გამოვიდა.
ბ) დაშალა – გადაშალა.
გ) წერს – დაწერს.
დ) ხატა – დახატა.

(1) 27. შუალობითი კონტაქტის რომელი ფორმაა მცდარი?

ა) აბეჭდინებს.
ბ) აკრეფინებს.
გ) ალაგებინებს.
დ) აშენებინებს.

(1) 28. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *რა თქმა უნდა უფროსკლასელების მოსაზრებებს სკოლის დირექცია აუცილებლად გაითვალისწინებს.*

რა ტიპის შეცდომა დაუშვა მან?

ა) მორფოლოგიური.

ბ) ორთოგრაფიული.

გ) პუნქტუაციური.

დ) სინტაქსური.

(2) 29. გაარკვიეთ, რომელი მეტყველების ნაწილია თითოეული ხაზგასმული სიტყვა წინადადებებში:

1. ყველას ძალიან <u>უნდა</u> ამ საკითხის დროულად მოგვარება.

2. ეს საკითხი დროულად <u>უნდა</u> მოგვარდეს.

(2) 30. ა) განუმარტეთ მოსწავლეს, როგორ გაარკვიოს, რომელ ბრუნვას გამოხატავს ნაცვალსახელი *<u>თქვენ</u>* წინადადებაში:

სასურველია, რომ ეს სამუშაო სწორედ თქვენ შეასრულოთ.

ბ) დაწერეთ წინადადება, რომელშიც პირის ნაცვალსახელი *თქვენ* სხვა ბრუნვას გამოხატავს.

(2) 31. მოსწავლემ დაწერა წინადადება:

მამა-შვილს ძალიან უყვართ თავისუფალი დროის ერთად გატარება.

ა) გაასწორეთ შეცდომა და ისე გადაწერეთ წინადადება.

ბ) განუმარტეთ მას, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.